

გაკვეთილი 10

საქართველოს საგადასახადო

კოდექსი

დამატებული ღირებულების

გადასახადი

ნაწილი 2

## მუხლი 162. იმპორტი, იმპორტის თანხა და დრო

1. იმპორტის დროს:

ა) იმპორტის თანხა არის ჯამი:

ა.ა) საბაჟო ღირებულებისა;

ა.ბ) იმპორტისას გადასახდელი გადასახადებისა;

ა.გ) მომსახურების ღირებულებისა, დღგ-ის გარეშე, რომელიც ამ კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით ითვლება საქონლის იმპორტის ნაწილად.

ბ) საქონლის იმპორტი ხორციელდება მაშინ, როდესაც საქონელი საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით იბეგრება ან, გათავისუფლებული რომ არ ყოფილიყო, დაიბეგრებოდა იმპორტის გადასახადით.

2. პირს, რომლის წინა უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში დასაბეგრი ოპერაციების მიხედვით დეკლარირებული და ბიუჯეტში გადახდილი დღგ-ის თანხა გადააჭარბებს 200 000 ლარს, უფლება აქვს, გადავიდეს იმპორტის დღგ-ით დაბეგვრის სპეციალურ წესზე

3. საბაჟო საწყობში მიწოდებული უცხოური საქონლის იმპორტის შემთხვევაში, თუ:

ა) საქონლის იმპორტი და მიწოდება არ არის დღგ-ისაგან გათავისუფლებული, იმპორტი იმპორტისას თანხას გადასახდელ დღგ-ის თანხას გადაიხდის იმპორტის თანხიდან გამომდინარე, ხოლო იმპორტის მიერ საბაჟო საწყობში უცხოური საქონლის შესყიდვის ღირებულება და საქონლის იმპორტის თანხას შორის დადებითი სხვაობის თანხა დღგ-ით დაიბეგრება უკუდაბეგვრის წესით;

ბ) საქონლის იმპორტი გათავისუფლებულია დღგ-ისაგან, ხოლო საქონლის მიწოდება დღგ-ით იბეგრება, იმპორტის მიერ საბაჟო საწყობში უცხოური საქონლის შესყიდვის ღირებულება დღგ-ით იბეგრება უკუდაბეგვრის წესით

გ) საქონლის იმპორტი დღგ-ით იბეგრება, ხოლო საქონლის მიწოდება გათავისუფლებულია დღგ-ისაგან, იმპორტიორი იმპორტისას გადასახდელ დღგ-ის თანხას გადაიხდის იმპორტის თანხიდან გამომდინარე.

*იმპორტი წარმოადგენს სასაქონლო ოპერაციას. სასაქონლო ოპერაციაში საქონლის მოქცევა ხორციელდება დეკლარირების საფუძველზე, რაც წარმოშობს კუთვნილი გადასახადების (იმპორტის გადასახადის დღგ ის, აქციზის) გადახდის ვალდებულებას. იმპორტის გადასახადით დაბეგვრა ნიშნავს იმპორტის გადასახადის გადახდის ვალდებულების დეკლარირების საფუძველზე წარმოშობას. თავის მხრივ დეკლარირების მომენტი შეიძლება არ ემთხვეოდეს დეკლარაციის შევსებისა და საგადასახადო ორგანოსათვის წარდგენის მომენტს. იმპორტის დროს იმპორტის თანხა შეიძლება იყოს ჯამი: საბაჟო ღირებულებისა; იმპორტის გადასახდელი გადასახდელებისა, საქართველოში გადასახდელი დღგ-ის ჩაუთვლელად ან დღგ-ის გარეშე მომსახურების ღირებულებისა. საქონლის იმპორტი ხორციელდება მაშინ, როდესაც საქონელი საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით იბეგრება ან, გათავისუფლებული რომ არ ყოფილიყო, დაიბეგრებოდა იმპორტის გადასახადით. პირს, რომლის წინა უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში დასაბეგრი ოპერაციების მიხედვით დეკლარირებული და ბიუჯეტში გადახდილი დღგ-ის თანხა გადააჭარბებს 200 000 ლარს, უფლება აქვს გადავიდეს იმპორტის დღგ-ით დაბეგვრის სპეციალურ წესზე, ამ დებულებით სახელმწიფო ფაქტობრივად კრედიტს აძლევს იმ პირს, რომელმაც განსაზღვრულ ვადაში განახორციელა დასაბეგრი ოპერაციები, რომელთა მიხედვით დეკლარირებულმა და ბიუჯეტში გადახდილმა დღგ-ის თანხამ გადააჭარბა 200 000 ლარს. კრედიტი კი მდგომარეობს შემდეგში: პირისათვის დაბეგვრის ობიექტად არ განიხილება იმპორტი. საბაჟო საწყობში მიწოდებული უცხოური საქონლის იმპორტის შემთხვევაში, თუ საქონლის იმპორტი და მიწოდება არ არის დღგ-ისაგან გათავისუფლებული, იმპორტიორი იმპორტისას გადასახდელ დღგ-ის თანხას გადაიხდის იმპორტის თანხიდან გამომდინარე, ხოლო იმპორტიორის მიერ საბაჟო საწყობში უცხოური საქონლის შესყიდვის ღირებულებასა და საქონლის იმპორტის თანხას შორის დადებითი სხვაობის თანხა დღგ-ით დაიბეგრება უკუდაბეგვრის წესით.*

## **მუხლი 163. ექსპორტი/რეექსპორტის თანხა და დრო ექსპორტის /რეექსპორტის დროს:**

- ა) ექსპორტის/ რეექსპორტის თანხა არის საბაჟო ღირებულება
- ბ) საქონლის ექსპორტის/რეექსპორტი ხორციელდება მაშინ, როდესაც ხდება დეკლარირება საქონლის ექსპორტის/რეექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში მიქცევის შესახებ

*ექსპორტი და რეექსპორტი წარმოადგენენ ჩათვლის უფლებით დღგ-ისაგან გათავისუფლებულ დაბეგვრის ოპერაციებს. ექსპორტის/რეექსპორტის დროს ექსპორტის/რეექსპორტის თანხა არის საბაჟო ღირებულება. ექსპორტის თუ რეექსპორტის თანხა რა ოდენობისაა, დაბეგვისათვის მნიშვნელობა არა აქვს. რაც შეეხება დაბეგვრის ობიექტის განხორციელების დროს, ის წარმოადგენს იმ მომენტს, როდესაც დეკლარირების გზით პირი განაცხადებს საქონლის მიმართ ექსპორტის (რეექსპორტის) სასაქონლო ოპერაციის გამოყენების შესახებ.*

## **მუხლი 164. საქონლის დროებითი შემოტანა, დროებითი შემოტანის თანხა და დრო საქონლის დროებითი შემოტანა განისაზღვრება ამ კოდექსის მიხედვით, რომლის დროსაც:**

- ა) საქონლის დროებითი შემოტანის თანხა ტოლია დროებითი შემოტანის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს ამ საქონლის იმპორტში მოქცევის შემთხვევაში ამ კოდექსის 162-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული იმპორტის თანხისა;
- ბ) საქონლის დროებითი შემოტანა ხორციელდება მაშინ, როდესაც საქონელი საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით იბეგრება ან გათავისუფლებული რომ არ ყოფილიყო, დაიბეგრებოდა იმპორტის გადასახადით.

*საქონლის დროებითი შემოტანა ხორციელდება მაშინ, როდესაც საქონელი საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით იბეგრება ან, გათავისუფლებული რომ არ ყოფილიყო, დაიბეგრებოდა იმპორტის გადასახადით. დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციაში საქონლის მოქცევა წარმოადგენს დღგ-ით დასაბეგრ ობიექტს. საქონლის დროებითი შემოტანის დასაბეგრ ბაზაში ჩართული იქნება საქონლის სატარიფო ღირებულება, აქციზი, იმპორტის გადასახადი და შერეული ოპერაციის კომპონენტი მომსახურების თანხები.*

## **მუხლი 165. საქონლის მიწოდების ადგილი**

1. თუ საქონლის მიწოდების პირობა ითვალისწინებს ტრანსპორტირებას, მაშინ საქონლის მიწოდების ადგილად ითვლება ტრანსპორტირების დაწყებისას საქონლის ადგილსამყოფელი. სხვა შემთხვევაში საქონლის მიწოდების ადგილად ითვლება საქონლის გაცემის ადგილი.
2. ელექტრო-ან თბოენერჯის, გაზის ან წყლის მიწოდების ადგილად ითვლება ამ საქონლის მიღების ადგილი. საქართველოდან ექსპორტის შემთხვევაში ამ საქონლის მიწოდების ადგილად ითვლება საქართველო.

*საქონლის მიწოდების ადგილად ითვლება საქონლის გაცემის ადგილი. მაგრამ თუ საქონლის მიწოდების პირობა ითვალისწინებს ტრანსპორტირებას მაშინ საქონლის მიწოდების ადგილად ითვლება ტრანსპორტირების დაწყებისას საქონლის ადგილსამყოფელი. საქონლის მიწოდების შესაძლო შემთხვევებია: ა) მიწოდება ტრანსპორტირებით; და ბ) მიწოდება ტრანსპორტირების გარეშე. თუ ტვირთი საქართველოდან გადის მაშინ, რა თქმა უნდა, იქმნება ორმაგი დაბეგვრის პრობლემა. რაც შეეხება მეორე შემთხვევას ( ტრანსპორტირების გარეშე მიწოდებას) აქ საკითხი რთულდება თუნდაც იმიტომ, რომ მასში ხვდება არა მარტო მოძრავი ნივთები, არამედ- სხვა სახის*

ქონება (უძრავი ნივთები, არამატერიალური საკუთრება). ამ შემთხვევისას მიწოდების ადგილის დადგენა კანონმდებელმა დაუკავშირა საქონლის გაცემის და არა- მიღების ადგილის ცნებას. გაცემაში იგულისხმება საკუთრების უფლების გაცემა რომელიც, თავის მხრივ მოიცავს ფლობის უფლებასაც. ელექტრო- ან თბოენერჯის გაზის ან წყლის მიწოდების ადგილად ითვლება ამ საქონლის მიღების ადგილი. ხოლო საქართველოდან ექსპორტის შემთხვევაში კი ამ საქონლის მიწოდების ადგილად ითვლება საქართველო.

## მუხლი 166. მომსახურების გაწევის ადგილი.

1. ამ კარის მიზნებისათვის მომსახურების გაწევის ადგილად ითვლება:

- ა) ადგილი, სადაც მდებარეობს უძრავი ქონება, თუ მომსახურება უკავშირდება უძრავ ქონებას.
- ბ) მომსახურების ფაქტობრივად გაწევის ადგილი თუ:
- გ) ტვირთების გადატანის ან მგზავრთა გადაყვანის ადგილსამყოფელი ტრანსპორტირების დაწყებისას, თუ მომსახურება დაკავშირებულია ამ გადაზიდვებთან;
- დ) თუ მომსახურების მიმღებ და გამწევ პირთა ადგილსამყოფელი სხვადასხვა სახელმწიფოშია, მაშინ მომსახურების მიმღები პირის რეგისტრაციის ადგილი ან მართვის ადგილი ან მომსახურების მიმღები პირის მუდმივი დაწესებულების ადგილმდებარეობა, თუ მომსახურება დაკავშირებულია უშუალოდ ამ მუდმივ დაწესებულებასთან.
- ე) იმ პირის ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების ადგილი, რომელიც ეწევა მომსახურებას.

3. ამ მუხლის მიზნებისათვის ელექტრონულად გაწეული მომსახურებას განეკუთვნება:

- ა) ვებგვერდის მიწოდება, ვებპოსტინგი, პროგრამებისა და მოწყობილობების დისტანციური ტექნიკური მომსახურება;
- ბ) პროგრამული უზრუნველყოფა შესაბამისი განახლება;
- გ) გამოსახულებების, ტექსტებისა და ინფორმაციის მიწოდება მონაცემთა ბაზის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით;
- დ) მუსიკის, ფილმებისა და თამაშების (აზარტული თამაშების ჩათვლით) მიწოდება, პოლიტიკური, კულტურული, ხელოვნების, სპორტული, სამეცნიერო და გასართობი პროგრამების ტრანსლაცია და გაშუქება;
- ე) დისტანციური სწავლების მიწოდება.

*მომსახურების გაწევის ადგილი არის ადგილი, სადაც მდებარეობს უძრავი ქონება, თუ მომსახურება უკავშირდება უძრავ ქონებას: ა) ქონების აგენტებისა და ექსპერტების მომსახურება. ბ) სამშენებლო საქმიანობის მომზადებისა და კოორდინაციასთან დაკავშირებული მომსახურება; გ) არქიტექტურისა და სამშენებლო საქმიანობის ზედამხედველობის სამსახური. მომსახურების გაწევის ადგილად ითვლება მომსახურების ფაქტობრივად გაწევის ადგილი. იმ შემთხვევაში როცა, მომსახურების მიმღებ და გამწევ პირთა ადგილსამყოფელი სხვადასხვა სახელმწიფოშია, მომსახურების გაწევის ადგილად იქნება მომსახურების მიმღები პირის რეგისტრაციის ადგილი ან მართვის ადგილი ან მომსახურების მიმღები პირის მუდმივი დაწესებულების ადგილმდებარეობა, თუ მომსახურება დაკავშირებულია უშუალოდ ამ მუდმივ დაწესებულებასთან. თუ რეზიდენტი არარეზიდენტს გაუწევდა მომსახურებას, მაშინ გაწევის ადგილი იქნებოდა არარეზიდენტი სახელმწიფო. საგადასახადო კანონმდებლობა უშვებს ელექტრონულად გაწეული მომსახურების შესაძლებლობასაც. ელექტრონულად გაწეულ მომსახურებას განეკუთვნება: ა) ვებგვერდის მიწოდება, ვებპოსტინგი, პროგრამებისა და მოწყობილობების დისტანციური ტექნიკური მომსახურება; ბ) პროგრამული უზრუნველყოფა და შესაბამისი განახლება; გ) გამოსახულებების, ტექსტებისა და ინფორმაციის მიწოდება მონაცემთა ბაზის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით; დ) მუსიკის, ფილმებისა და თამაშების (აზარტული თამაშების ჩათვლით) მიწოდება, პოლიტიკური, კულტურული, ხელოვნების, სპორტული, სამეცნიერო და გასართობი პროგრამების ტრანსლაცია და გაშუქება; ე) დისტანციური სწავლების მიწოდება.*

## თავი XXIII

### დღგ-ისაგან გათავისუფლების მარეგულირებელი წესებისა გადასახადებისაგან გათავისუფლება.

#### მუხლი 167. გადასახადისაგან გათავისუფლება და მისი გამოყენების წესი.

1. დღგ-ისაგან გათავისუფლება არსებობს ჩათვლის უფლებით და ჩათვლის უფლების გარეშე. ოპერაციის გათავისუფლება ჩათვლის უფლებით გულისხმობს, რომ ოპერაცია არ ექვემდებარება დღგ დარიცხვას ( არ იბეგრება) და გამოიყენება ჩათვლის უფლება.
2. ოპერაციის გათავისუფლება ჩათვლის უფლების გარეშე გულისხმობს, რომ ოპერაცია არ ექვემდებარება დღგ-ის დარიცხვას ( არ იბეგრება) და არ გამოიყენება ჩათვლის უფლება. გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, დასაბეგრი ოპერაციების მიმართ არ გამოიყენოს ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-ისაგან გათავისუფლება, რაც გულისხმობს, რომ დასაბეგრი ოპერაცია ექვემდებარება დღგ-ის დარიცხვას და მიიღება ჩათვლა.
3. ამ მუხლის მე-4 ნაწილში აღნიშნული უფლების გამოყენება გადასახადის გადამხდელს შეუძლია:
  - ა) საგადასახადო ორგანოსთვის მიმართვის შემდეგი საანგარიშო პერიოდის პირველი რიცხვიდან;
  - ბ) უფლების გამოყენების დღიდან 12 თვის განმავლობაში, ყველა დასაბეგრი ოპერაციის მიმართ.
4. ამ მუხლის მე-4 ნაწილში აღნიშნული უფლების გამოყენების შემთხვევაში:
  - ა) საგადასახადო ორგანო ვალდებულია გადასახადის გადამხდელი გაატაროს რეგისტრაციაში;
  - ბ) გადასახადის გადამხდელი ვალდებულია დაბეგროს გათავისუფლებული ოპერაციები და ამ კარის მიზნებისათვის ასეთი ოპერაციები აღარ ითვლება ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებულ ოპერაციად.
5. დღგ-ისაგან გათავისუფლების გამოყენების წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

*საგადასახადო კანონმდებლობა განსაზღვრავს დღგ-ის გადასახადისაგან გათავისუფლებას და მისი გამოყენების წესს. დღგ-ისაგან გათავისუფლება გულისხმობს შემთხვევას, პირი თავისუფლდება საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის, სამუშაოს, მომსახურების წარმოებისა და მიმოქცევის პროცესში შექმნილი ღირებულების ნაწილს, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანილი ყველა დასაბეგრი საქონლის ღირებულების ნაწილის ბიუჯეტში სავალდებულო შენატანისაგან. დღგ-ისაგან გათავისუფლება შეიძლება მოხდეს ჩათვლის უფლებით და ჩათვლის უფლების გარეშე. ოპერაციის გათავისუფლება ჩათვლის უფლებით გულისხმობს, რომ ოპერაცია არ ექვემდებარება დღგ-ის დარიცხვას ( არ იბეგრება) და გამოიყენება ჩათვლის უფლება. ხოლო ოპერაციის გათავისუფლება ჩათვლის უფლების გარეშე გულისხმობს, რომ ოპერაცია არ ექვემდებარება დღგ-ის დარიცხვას (არ იბეგრება). გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, დასაბეგრი ოპერაციების მიმართ არ გამოიყენოს ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-ისაგან გათავისუფლება. რაც გულისხმობს, რომ დასაბეგრი ოპერაცია ექვემდებარება დღგ-ის დარიცხვას და მიიღება ჩათვლა.*

## თავი XXIV

### გადასახადის გამოანგარიშების, დეკლარირებისა და გადახდის წესი

#### მუხლი 169. დღგ-ის განაკვეთები

1. დღგ-ის განაკვეთი შეადგენს:
  - ა) დასაბეგრი ბრუნვის ან საქონლის იმპორტის თანხის 18 პროცენტს;
  - ბ) საქონლის დროებითი შემოტანისას ამ კოდექსის 164-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დროებითი შემოტანის თანხის 0.54 % ამ საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის ყოველ სრულ და არასრულ კალენდარულ თვეზე, მაგრამ არა უმეტეს საქონლის დროებითი შემოტანისას დროებითი შემოტანის თანხა 18% -ისა;
2. დასაბეგრი ბრუნვა არის საანგარიშო პერიოდში განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების, საქონლის ექსპორტისა და საქონლის რეექსპორტის თანხის ჯამი.

*დღგ-ის პროცენტული განაკვეთი არის - 18%. ჩათვლის უფლებით გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაცია არ წარმოადგენს 0%-ით დასაბეგრი ოპერაციას. საქონლის დროებით შემოტანისას დღგ-ის განაკვეთი შეადგენს დროებითი შემოტანის თანხის 0.54 პროცენტს ამ საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის ყოველ სრულ და არასრულ კალენდარულ თვეზე, მაგრამ არა უმეტეს საქონლის დროებითი შემოტანისას დროებითი შემოტანის თანხის 18%. უკუდაბეგვრის წესით დასაბეგრი ოპერაციის დროს, დღგ-ის განაკვეთი შეადგენს ასეთი ოპერაციის თანხის 18%. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საქონლის ექსპორტისა და საქონლის რეექსპორტის თანხის ჯამი არის დასაბეგრი ბრუნვა.*

#### მუხლი 170. ბიუჯეტში შესატანი დღგ

- ბიუჯეტში შეტანილი დღგ მოიცავს;
- ა) დასაბეგრი ბრუნვიდან ბიუჯეტში შესატანი დღგ-ის თანხას, რომელიც განისაზღვრება როგორც სხვაობა დასაბეგრი ბრუნვაზე დარიცხულ დღგ-ის თანხასა და ჩასათვლელ დღგ-ის თანხებს შორის;
  - ბ) საქონლის იმპორტისას ბიუჯეტში შესატანი დღგ-ის თანხას;
  - გ) საქონლის დროებითი შემოტანისას ბიუჯეტში შესატანი დღგ-ის თანხას;
  - დ) უკუდაბეგვრის წესით დასაბეგრი ოპერაციიდან ბიუჯეტში შესატანი დღგ-ის თანხას.

*ბიუჯეტში შესატანი დღგ მოიცავს საანგარიშო პერიოდში განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების, საქონლის ექსპორტისა და საქონლის რეექსპორტის თანხის ჯამიდან ბიუჯეტში შესატანი დღგ-ის თანხას, რომელიც განისაზღვრება როგორც სხვაობა დასაბეგრი ბრუნვაზე დარიცხულ დღგ-ის თანხასა და ჩასათვლელ დღგ-ის თანხებს შორის. უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დღგ-ის თანხის გადახდა ხდება მომსახურების გაწევის მომენტიდან მომდევნო თვის 15 რიცხვამდე. დღგ-ის გადამხდელის მიერ უკუდაბეგვრის წესით ბიუჯეტში გადახდილი დღგ-ის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ითვლება საგადასახადო ანგარიშ- ფაქტურად და შესაბამისად იგი დადგენილი წესით აისახება დღგ-ის დეკლარაციის სტრიქონზე. ბიუჯეტში შესატანი დღგ ასევე მოიცავს საქონლის იმპორტისას ბიუჯეტში შესატანი დღგ-ის თანხას და საქონლის დროებითი შემოტანისას ბიუჯეტში შესატანი დღგ-ის თანხას.*